

# საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია (გრენა)

(რეგისტრირებული კავშირი)

## წესდება

მიღებულია საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია  
გრენა-ს დამფუძნებლების მიერ 1999 წლის 16 ივლისს

თბილისი 1999 წელი

### თავი I

#### ზოგადი დებულებები

- 1.1 საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - რეგისტრირებული კავშირი (შემდგომში - "ასოციაცია") არის კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. მისი სრული სახელწოდებაა: ქართულ ენაზე - "საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია" - გრენა; ინგლისურ ენაზე - "Georgian Research and Educational Networking Association" - GRENA;
- 1.2 ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა კავშირი. მას აქვს თავისი ქონება, რომლითაც დამოუკიდებლად აგებს პასუხს საკუთარი სახელით, იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ.
- 1.3 ასოციაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.
- 1.4 ასოციაციის იურიდიული მისამართია: 380062 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74.

## თავი II

### ასოციაციის საქმიანობის მიზნები

ასოციაციის მიზანია:

- 2.1 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ქსელის ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გააერთიანებს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, არაკომერციულ საინფორმაციო რესურსებს, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს ერთ საინფორმაციო სისტემად.
- 2.2 ამ ქსელის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ქსელებთან შეერთება.
- 2.3 საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში საინფორმაციო ცენტრების, კვანძების და ქსელების განვითარების ხელშეწყობა.
- 2.4 საქართველოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და არასამთავრობო-არაკომერციული ორგანიზაციების გაერთიანება გრენას ქსელში.
- 2.5 პირველ ეტაპზე (1999-2001) ეს საქმიანობა განხორციელდება პროექტის "Development of Network Infrastructure of Georgian Research and Educational Networking Association (GRENA) - (შემდგომში "პროექტი") განვითარების საფუძველზე.

## თავი III

### ასოციაციის საქმიანობა და ფორმები

ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ასოციაცია აწარმოებს შემდეგ საქმიანობას:

- 3.1 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ქსელის ინფრასტრუქტურას, რომელიც დააკავშირებს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს და სხვა არაკომერციულ ინსტიტუტებს ერთ საინფორმაციო სისტემად.
- 3.2 ხელს უწყობს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში საინფორმაციო ცენტრების და ლოკალური ქსელების განვითარებას, აკავშირებს მათ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ქსელებთან.
- 3.3 ასოციაციას შეუძლია აწარმოოს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობა. ამ საქმიანობიდან მიღებული მთელი შემოსავალი უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების განხორციელებას.
- 3.4 აწარმოებს სხვა საქმიანობას, რომელიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული და ხელს უწყობს ასოციაციის მიზნების მიღწევას.
- 3.5 ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების რეალიზაციის ხარჯზე.

## თავი IV

### ასოციაციის დამფუძნებლები

ასოციაციის დამფუძნებლები არიან:

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი
4. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
6. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი
7. თსუ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი
8. ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო”

## თავი V

### ასოციაციის წევრობა

- 5.1 ამ წესდების IV თავში აღნიშნული დამფუძნებლები ასოციაციის წევრები არიან მათ მიერ ასოციაციის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
- 5.2 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში რეგისტრირებული არაკომერციული ორგანიზაცია, სასწავლო დაწესებულება ან უცხოური არაკომერციული ორგანიზაციის საქართველოს ფილიალი, კერძო პირი თუ იგი იზიარებს ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, მისი საქმიანობა შეესაბამება ასოციაციის მიზნებს და აქტიურად თანამშრომლობს ასოციაციასთან. ასოციაციის წევრი სარგებლობს ასოციაციის წევრობის უფლებამოსილებით და ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. ასოციაციის წევრი იხდის საწევრო შესატანს.
- 5.3 ასოციაციის დამფუძნებლები, თავის უფლებამოსილებას საქართველოში კომპიუტერული, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და ინტერნეტის სერვისების განვითარების სფეროში გადააბარებენ გრენას.
- 5.4 დამფუძნებლები ასოციაციის განვითარების მიზნით გარე დაფინანსებას ერთობლივად მოიპოვებენ გრენას სახელით.
- 5.5 ასოციაციის წევრობის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობას, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას წევრად მიღების თაობაზე.
- 5.6 ასოციაციის წევრობის შეწყვეტა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.7 ასოციაციიდან გასვლის შესახებ ასოციაციის წევრი წერილობით აცნობებს გამგეობას.
- 5.8 ამ წესდების მოთხოვნათა დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში საერთო კრებას ასოციაციის წევრთა ხმების უმრავლესობით შეუძლია გარიცხოს წევრი ასოციაციიდან. გარიცხული წევრი უფლებამოსილია საერთო კრების გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

## თავი VI

### ასოციაციის წევრის უფლება - მოვალეობები

ასოციაციის წევრს აქვს შემდეგი უფლება - მოვალეობები:

- 6.1 მიიღოს მონაწილეობა საერთო კრების მუშაობაში.
- 6.2 წარადგინოს თავისი წარმომადგენელი ასოციაციის საპროგრამო ორგანოებში.
- 6.3 მიიღოს სრული ინფორმაცია ასოციაციის მუშაობის შესახებ.
- 6.4 გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება სასამართლოში.
- 6.5 ისარგებლოს ასოციაციის კუთვნილებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ასოციაციის მიზნების შესაბამისად.
- 6.6 დაიცვას ასოციაციის წესდება და შინაგანაწესი.
- 6.7 გაუფრთხილდეს ასოციაციის ღირსებას, ავტორიტეტს და ქონებას.
- 6.8 მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.
- 6.9 უარი თქვას ასოციაციის წევრობაზე და გავიდეს მისი შემადგენლობიდან.
- 6.10 ასოციაციის წევრს შეიძლება ჰქონდეს სხვა უფლებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას.

## თავი VII

### ასოციაციის სტრუქტურა და მართვა

- 7.1 ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც იწვევს გამგეობა წელიწადში სულ ცოტა ერთხელ მაინც. ასოციაციის ინტერესებიდან გამომდინარე, რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ასოციაციის წევრთა მეხუთედის ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით, კრების დღის წესრიგის მითითებით. ამ შემთხვევაში საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნას წერილობითი მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში.
- 7.2 ასოციაციის წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით და დღის წესრიგის მითითებით კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც.
- 7.3 საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტი. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე მიიღება დამსწრეთა ორი მესამედით, ხოლო ასოციაციის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ასოციაციის წევრთა ხმის ოთხ მეხუთედს. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით.

7.4 ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. გადაწყვეტილება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრების მოწვევისას ეს საკითხი შეტანილი იყო დღის წესრიგში. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, უფლება აქვთ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. მათი უფლებები უთანაბრდება კრებაზე დამსწრე წევრების უფლებებს.

7.5 საერთო კრება:

- ა) იღებს ასოციაციის წესდებს, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
- ბ) განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიზნებსა და მიმართულებებს;
- გ) ირჩევს გამგეობას ოთხი წლის ვადით, აკმაყოფილებს გამგეობის წევრთა განცხადებას უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, გამგეობის წევრის მიერ ამ წესდების სისტემატური დარღვევისა ან გამგეობის წევრისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას მისი გათავისუფლების შესახებ;
- დ) ისმენს გამგეობის ანგარიშს;
- ე) ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- ვ) ირჩევს ასოციაციის სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით, რომლებიც არ არიან გამგეობის წევრები;
- ზ) იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;
- თ) შეუძლია შექმნას ასოციაციის საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას წინასწარ განსაზღვრავს გამგეობა;
- ი) ამტკიცებს გამგეობის მუშაობის წლიურ გეგმას;
- კ) იღებს გადაწყვეტილებას იმ საკითხებზე, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის საქმიანობას.

## გამგეობა

7.6 გამგეობა წარმოადგენს ასოციაციის კოლექციურ ხელმძღვანელ ორგანოს, რომლის მიზანია საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საწესდებო ამოცანების რეალიზაცია. გამგეობა მუშაობს მის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე.

7.7 საერთო კრება დამფუძნებელთა წარმომადგენლებისგან ირჩევს გამგეობას ოთხი წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ვადის გასვლის შემდეგაც (მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა) ახალი გამგეობის არჩევამდე.

7.8 გამგეობიდან წევრის გასვლის შემთხვევაში, საერთო კრება ირჩევს გამგეობის ახალ წევრს გამგეობის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

7.9 გამგეობა:

- ა) წინასწარ განსაზღვრავს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- ბ) სხდომაზე ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ორი მესამედი უმრავლესობით ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს;
- გ) განაგებს ასოციაციის ქონებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამის თაობაზე იღებს ნებართვას საერთო კრებისაგან;
- დ) იწვევს საერთო კრებას და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მის ჩატარებას;
- ე) წყვეტს ასოციაციის წევრად მიღების საკითხს ღია კენჭისყრით;
- ვ) ახორციელებს სხვა ქმედებებს, რომლებიც შეესაბამება ან აუცილებელია საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

7.10 გამგეობის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

7.11 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (გარდა 7.9 ბ შემთხვევისა).

7.12 საერთო კრებებს შორის ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა გამგეობა.

7.13 ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს, განვითარების მოკლე და გრძელვადიან პრიორიტეტებს, სტრატეგიულ გეგმებს და დასაფინანსებლად წარდგენილ პროექტებს.

7.14 ირჩევს თავმჯდომარეს გამგეობის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით, რომელიც წარმართავს გამგეობის სხდომებს.

7.15 იწვევს “პროექტით” გათვალისწინებულ სამუშაოებში მონაწილე ორგანიზაციების შესაბამისი ქვეგანყოფილების (შემდგომში “ჯგუფების”) ხელმძღვანელებს. “პროექტის” მიხედვით ეს ორგანიზაციები და მათი ქვეგანყოფილებია:

- ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი;
- ბ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;
- გ) საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი;
- დ) ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველოს” ინტერნეტის ცენტრი.

7.16 ამტკიცებს ქსელში “პროექტით” გათვალისწინებულ ჩასართავ დაწესებულებათა სიას.

7.17 უწევს ზედამხედველობას “პროექტის” მსვლელობას.

7.18 გამგეობის წევრთა უფლება - მოვალეობებია:

- ა) მიიღოს მონაწილეობა გამგეობის სხდომებში;
- ბ) მოახსენოს ასოციაციის გამგეობას გაწეული საქმიანობის შესახებ;
- გ) შეასრულოს ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობა;

7.19 გამგეობის წევრთა მონაცემები ერთვის ამ წესდებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## აღმასრულებელი დირექტორი

7.20 ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც ამ თანამდებობაზე სამი წლის ვადით ნიშნავს გამგეობა. აღმასრულებელი დირექტორი არ არის გამგეობის წევრი.

7.21 აღმასრულებელი დირექტორი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად და ახორციელებს ასოციაციის საერთო, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას;
- ბ) ხსნის და ხურავს საბანკო ანგარიშებს, განსაზღვრავს აპარატის საშტატო ნუსხას და ამტკიცებს მის ხარჯთაღრიცხვას;
- გ) განაგებს ასოციაციის ფინანსებს, მართავს ქონებას და პასუხისმგებელია მათ მიზნობრივ გამოყენებაზე ასოციაციის საწესდებო ფუნქციების შესასრულებლად;
- დ) გამგეობის დადგენილებით ქმნის სამუშაო ჯგუფებს;
- ე) გამოსცემს ბრძანებებს ამ წესდებისა და გამგეობის მიერ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ (მათ შორის საფინანსო) დოკუმენტებს;
- ვ) ასოციაციის სახელით დებს გარიგებებს და წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირთან ურთიერთობაში;
- ზ) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს თანამშრომლებს გამგეობასთან შეთანხმებით;
- თ) დებს კონტრაქტს მოწვეულ სპეციალისტებთან;
- ი) კოორდინაციას უწევს ასოციაციის თანამშრომლობას საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან, მონაწილეობს ასოციაციასთან დაკავშირებულ სატენდერო და სხვა კომისიების მუშაობაში ან ნიშნავს მათში თავის წარმომადგენელს;
- კ) ასრულებს ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;

ლ) ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგინოს ასოციაციის დოკუმენტაცია გამგეობას, ასოციაციის წევრებსა და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს;

7.22 აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან გათავისუფლების შემთხვევაში, გამგეობა თავის პირველსავე სხდომაზე წყვეტს ახალი დირექტორის დანიშვნის საკითხს.

7.23 გამგეობის გადაწყვეტილებით ასოციაციის ცალკეულ პროექტების განხორციელებას შეიძლება ხელმძღვანელობდეს კოორდინატორი. ასოციაციის არსებობის პირველ ეტაპზე ეს არის “პროექტის” თანადირექტორი, ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” აღმასრულებელი დირექტორი. ასოციაციის კოორდინატორი:

ა) ხელმძღვანელობს “პროექტს”;

ბ) ხელს აწერს “პროექტის” ფინანსურ დოკუმენტებს;

გ) “პროექტის” ფარგლებში გრენას სახელით დებს ხელშეკრულებებს და წარმოადგენს მას საჯაროდ;

დ) ათანხმებს “პროექტის” ფარგლებში გაუთვალისწინებელ საქმიანობას გრენას გამგეობასთან;

ე) აბარებს ანგარიშს გრენას გამგეობას და წევრთა საერთო კრებას;

ვ) ასოციაციის კოორდინატორს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილების ნაწილის დელეგირებისა სხვა პირისათვის;

## თავი VIII

### ასოციაციის ქონება და ფინანსები

8.1 ასოციაციის ქონებრივი და ფინანსური შემოსავლის წყაროებს წარმოადგენს:

ა) გრანტები;

ბ) შემოწირულობანი;

გ) საწევრო შესატანები;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;

8.2 ასოციაციის ქონება და ფინანსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ასოციაციის მიზნების განსახორციელებლად.

8.3 ასოციაციის ფინანსური საქმიანობის პერიოდულ კონტროლს ახორციელებს ასოციაციის სარევიზიო კომისია, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

## თავი IX

### ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 9.1 ასოციაციის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.2 ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება საერთო კრების დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის გადაწყვეტილებით: მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმების გამო.
- 9.3 ასოციაციის ლიკვიდაციის პროცედურას ახორციელებს გამგეობა. მან უნდა მოაგვაროს მიმდინარე საქმეები, უზრუნველყოს დარჩენილი ქონების შეფასება, დააკმაყოფილოს კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაანაწილოს ამ წესდების 9.4. პუნქტის შესაბამისად. თუ არსებობს საერთო კრების ან გამგეობის შუამდგომლობა, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სხვა ლიკვიდატორი.
- 9.4 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე საქართველოს ორგანიზაციას.
- 9.5 ინფორმაცია ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში. ქონების განაწილება შესაძლებელია ლიკვიდაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.